

ტერმინის „არსებითის“ განმარტება

ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები

ბასს 1-ის – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ – შესწორებები

საბჭომ გამოსცა ბასს 1-ში მოცემული ტერმინის „არსებითის“ განმარტებაში შესატანი ცვლილებების ორი ვერსია, რაც ამ ცვლილებების ადრე დანერგვის საშუალებას იძლევა, იმის მიუხედავად, საწარმოს დანერგილი აქვს თუ არა დოკუმენტი „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“.

შეიცვალა მე-7 პუნქტი იმ საწარმოთათვის, რომლებსაც არ დაუნერგავთ 2018 წელს გამოცემული „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“, ასევე დაემატა 139-ე პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან, ხოლო გაუქმებული ტექსტი გადახაზულია.

განმარტებები

7.

...

არსებითი:

~~აღრიცხვის ელემენტების გამოტოვება ან დაშვებული უზუსტობები არსებითია, თუ ისინი ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში გავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული აღრიცხვის ელემენტის ან უზუსტობის სიდიდესა და ბუნებაზე, გარემო პირობების ან კონტექსტის გათვალისწინებით. არსებითობის განმსაზღვრელი ფაქტორი შესაძლოა იყოს ელემენტის სიდიდე ან ბუნება, ან ორივე ერთად.~~

ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისმა გამოტოვებამ, დამახინჯებამ ან ბუნდოვნად წარდგენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ.

არსებითობა დამოკიდებულია ინფორმაციის ბუნებაზე ან სიდიდეზე, ან ორივე ფაქტორზე ერთად. საწარმო აფასებს, ესა თუ ის ინფორმაცია, ინდივიდუალურად ან სხვა ინფორმაციასთან ერთად, არსებითია თუ არა მთლიანად მისი ფინანსური ანგარიშგების კონტექსტში.

ინფორმაცია ბუნდოვანია, თუ მისი ინფორმირება იმგვარად ხდება, რომ ფინანსური ანგარიშგების ძირითად მომხმარებლებზე ისეთივე გავლენას იქონიებს, როგორსაც ამ ინფორმაციის გამოტოვება ან დამახინჯება. შემდეგი მაგალითები ეხება გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ინფორმაცია ბუნდოვანი გახადოს:

- (ა) ინფორმაცია არსებითი მუხლის, ოპერაციის ან სხვა მოვლენის შესახებ გამჟღავნებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ გამოყენებული ენა/გადმოცემის სტილი გაურკვეველი ან გაუგებარია;
- (ბ) ინფორმაცია არსებითი მუხლის, ოპერაციის ან სხვა მოვლენის შესახებ გაფანტულია მთელ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- (გ) მიზანშეუწონლად აგრეგირებულია განსხვავებული მუხლები, ოპერაციები ან სხვა მოვლენები;

(დ) მიზანშეუწონლად დეზაგრეგირებულია მსგავსი მუხლები, ოპერაციები ან სხვა მოვლენები; და

(ე) ფინანსური ანგარიშგების აღქმადობა გაუარესებულია, ვინაიდან არსებითი ინფორმაცია იმ დონეზეა დაფარული არარარსებითი ინფორმაციით, რომ ძირითადი მომხმარებელი ვერ შეძლებს არსებითი ინფორმაციის გამორჩევას.

იმის შესაფასებლად, შეფასებასას, გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია თუ არა, რომ შუქბლაო თუ არა ინფორმაციის გამოტოვებას ან დაშვებულ უზუსტობას, ინფორმაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე და ამგვარად, არსებითია თუ არა, საჭიროა გაანალიზდეს, აუცილებელია, საწარმომ, თავის კონკრეტულ გარემოებებთან ერთად, გაითვალისწინოს ამ მომხმარებელთა მახასიათებლები.

ბევრ არსებულ და პოტენციურ ინვესტორს, გამსესხებელსა და სხვა კრედიტორებს არ შეუძლიათ, ანგარიშვალდებულ საწარმოს მისთხოვონ ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ მათთვის და ისინი უნდა დაეყრდნონ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას მათთვის საჭირო ინფორმაციის დიდი ნაწილის მისაღებად. შესაბამისად, სწორედ ისინი არიან ძირითადი მომხმარებლები, რომლებზეც ორიენტირებულია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მზადდება იმ მომხმარებლებისთვის, რომლებსაც კომერციული და ეკონომიკური საქმიანობის შესაფერისი ცოდნა გააჩნიათ და გულდასმით იხილავენ და ანალიზებენ ამ ინფორმაციას. თუმცა, ზოგჯერ, კარგად ინფორმირებულ და მონდომებულ მომხმარებლებსაც კი შეიძლება დასჭირდეთ კონსულტანტის დახმარება რთული ეკონომიკური მოვლენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის გასაგებად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების 25-ე პუნქტში აღნიშნულია: „იგულისხმება, რომ მომხმარებელს აქვს ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა და ინფორმაციის გულდასმით შესწავლის სურვილი“. მასთან დაკავშირებით, შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რა სახით შეიძლება განხორციელდეს გავლენა, გონივრულობის ფარგლებში, ამ თვისებების მქონე მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

² 2010 წლის სექტემბერში ბასსს-მა სტრუქტურული საფუძვლები ჩაანაცვლა ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით. 25-ე პუნქტი შეიცვალა კონცეპტუალური საფუძვლების მე-3 თავით.

...

ძალაში შესვლის თარიღი

139.უ. 2018 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „ტერმინის არსებითის განმარტება“ – (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები) გამოიწვია ბასს 1-ის მე-7 პუნქტისა და ბასს 8-ის მე-5 პუნქტის შეცვლა, ასევე ბასს 8-ის მე-6 პუნქტის გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაძველი გამოყენება. თუ საწარმომ ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

შეიცვალა მე-7 პუნქტი იმ საწარმოთათვის, რომლებმაც დანერგეს 2018 წელს გამოცემული „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“, ასევე დამატა 139უ პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან, ხოლო გაუქმებული ტექსტი გადახაზულია.

განმარტებები

7

...

არსებითი:

აღრიცხვის ელემენტების გამოტოვება ან დაშვებული უზუსტობები არსებითია, თუ ისინი ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში გავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული აღრიცხვის ელემენტის ან უზუსტობის სიდიდესა და ბუნებაზე, გარემო პირობების ან კონტექსტის გათვალისწინებით. არსებითობის განმსაზღვრელი ფაქტორი შესაძლოა იყოს ელემენტის სიდიდე ან ბუნება, ან ორივე ერთად.

ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისმა გამოტოვებამ, დამახინჯებამ ან ბუნდოვნად წარდგენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ.

არსებითობა დამოკიდებულია ინფორმაციის ბუნებაზე ან სიდიდეზე, ან ორივე ფაქტორზე ერთად. საწარმო აფასებს, ესა თუ ის ინფორმაცია, ინდივიდუალურად ან სხვა ინფორმაციასთან ერთად, არსებითია თუ არა მთლიანად მისი ფინანსური ანგარიშგების კონტექსტში.

ინფორმაცია ბუნდოვანია, თუ მისი ინფორმირება იმგვარად ხდება, რომ ფინანსური ანგარიშგების ძირითად მომხმარებლებზე ისეთივე გავლენას იქონიებს, როგორსაც ამ ინფორმაციის გამოტოვება ან დამახინჯება. შემდეგი მაგალითები ეხება გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ინფორმაცია ბუნდოვანი გახადოს:

- (ა) ინფორმაცია არსებითი მუხლის, ოპერაციის ან სხვა მოვლენის შესახებ გამჟღავნებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ გამოყენებული ენა/გადმოცემის სტილი გაურკვეველი ან გაუგებარია;
- (ბ) ინფორმაცია არსებითი მუხლის, ოპერაციის ან სხვა მოვლენის შესახებ გაფანტულია მთელ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- (გ) მიზანშეუწონლად აგრეგირებულია განსხვავებული მუხლები, ოპერაციები ან სხვა მოვლენები;
- (დ) მიზანშეუწონლად დეზაგრეგირებულია მსგავსი მუხლები, ოპერაციები ან სხვა მოვლენები; და
- (ე) ფინანსური ანგარიშგების აღქმადობა გაუარესებულია, ვინაიდან არსებითი ინფორმაცია იმ დონეზეა დაფარული არარარსებითი ინფორმაციით, რომ ძირითადი მომხმარებელი ვერ შეძლებს არსებითი ინფორმაციის გამორჩევას.

იმის შესაფასებლად, შეფასებისას, გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია თუ არა, რომ ჭეუჭელია თუ არა ინფორმაციის გამოტოვება ან დაშვებული უზუსტობა, ინფორმაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე და, ამგვარად, არსებითია თუ არა, საჭიროა გაანალიზდეს, აუცილებელია, საწარმომ, თავის კონკრეტულ გარემოებებთან ერთად, გაითვალისწინოს ამ მომხმარებელთა მახასიათებლები. რეგულაციის მიზანმიმართულად, რომ მომხმარებელს აქვს ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა და ინფორმაციის გულდასმით

~~შესწავლის სურვილი“. მაშასადამე, შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რა სახით შეიძლება განხორციელდეს გავლენა, გონივრულობის ფარგლებში, ამ ფვისებების მქონე მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.~~

~~ბევრ არსებულ და პოტენციურ ინვესტორს, გამსესხებელსა და სხვა კრედიტორებს არ შეუძლიათ, ანგარიშვალდებულ საწარმოებს მოსთხოვონ ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ მათთვის და ისინი უნდა დაეყრდნონ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას მათთვის საჭირო ინფორმაციის დიდი ნაწილის მისაღებად. შესაბამისად, სწორედ ისინი არიან ძირითადი მომხმარებლები, რომლებზეც ორიენტირებულია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება მზადდება იმ მომხმარებლებისთვის, რომლებსაც კომერციული და ეკონომიკური საქმიანობის შესაფერისი ცოდნა გააჩნიათ და გულდასმით იხილავენ და აანალიზებენ ამ ინფორმაციას. თუმცა, ზოგჯერ, კარგად ინფორმირებულ და მონდომებულ მომხმარებლებსაც კი შეიძლება დასჭირდეთ კონსულტანტის დახმარება რთული ეკონომიკური მოვლენების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის გასაგებად.~~

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

139უ. 2018 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „ტერმინის არსებითის განმარტება“ – (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები) გამოიწვია ბასს 1-ის მე-7 პუნქტისა და ბასს 8-ის მე-5 პუნქტის შეცვლა, ასევე ბასს 8-ის მე-6 პუნქტის გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

ბასს 8-ის – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – შესწორებები

საბჭომ გამოსცა ბასს 8-ში მოცემული ტერმინის „არსებითის“ განმარტებაში შესატანი ცვლილებების ორი ვერსია, რაც ამ ცვლილებების ადრე დაწესების საშუალებას იძლევა, იმის მიუხედავად, საწარმოს დაწესებული აქვს თუ არა დოკუმენტი „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებებთან დაკავშირებით“.

შეიცვალა მე-5 პუნქტი იმ საწარმოთათვის, რომლებსაც არ დაუწესებიათ 2018 წელს გამოცემული „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებებთან დაკავშირებით“. გაუქმდა მე-6 პუნქტი და დაემატა 54თ პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოთ, ხოლო გაუქმებული ტექსტი გადახაზულია.

განმარტებები

5. ...

~~არსებითი აღრიცხვის ელემენტების გამოტოვება ან დაშვებული უზუსტობა არსებითია, თუ ისინი ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მომხმარებლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა და მოკიდებულია აღრიცხვის ელემენტების გამოტოვების ან უზუსტობის სიდიდესა და ზუნებაზე გარემო პირობების გათვალისწინებით. არსებითობის განმსაზღვრელი ფაქტორი შეიძლება იყოს ელემენტის სიდიდე და ზუნება, ან ორივე ერთად. განმარტებულია ბასს 1-ის მე-7 პუნქტში და ამ სტანდარტშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.~~

...

6. იმის შეფასება, შეიძლება თუ არა, რომ გამოტოვებამ ან უზუსტობამ გავლენა მოახდინოს ინფორმაციის მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, ანუ იყოს არსებითი, მოითხოვს ამ ინფორმაციის მომხმარებლების მახასიათებლების გათვალისწინებას. ~~ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების 25-ე² პუნქტში აღნიშნულია: „იგულისხმება, რომ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს აქვთ ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა და ინფორმაციის გულდასმით შესწავლის სურვილი“.~~ ამგვარად, შეფასებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, თუ როგორი ზემოქმედება მოსალოდნელი ამ მახასიათებლების მქონე მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე. [გაუქმებულია]

² ბასს 1-ის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები ბასსს მა მიიღო 2001 წელს. 2010 წლის სექტემბერში ბასსს-მა შემოაღნიშნული სტრუქტურული საფუძვლები ჩაანაცვლა ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით. 25-ე პუნქტი ჩაანაცვლდა კონცეპტუალური საფუძვლების მე-3 თავით.

...

ძალაში შესვლის თარიღი

54თ. 2018 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „ტერმინის არსებითის განმარტება“ – (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები) გამოიწვია ბასს 1-ის მე-7 პუნქტისა და ბასს 8-ის მე-5 პუნქტის შეცვლა, ასევე ბასს 8-ის მე-6 პუნქტის გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ

დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

შეიცვალა მე-5 პუნქტი იმ საწარმოთათვის, რომლებმაც დანერგეს 2018 წელს გამოცემული „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“. გაუქმდა მე-6 პუნქტი და დაემატა 54თ პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან, ხოლო გაუქმებული ტექსტი გადახაზულია.

განმარტებები

5. ...

არსებითი აღრიცხვის ელემენტების გამოტოვება ან დაშვებული უზუსტობა არსებითია, თუ ისინი ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მომხმარებლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა დამოკიდებულია აღრიცხვის ელემენტების გამოტოვების ან უზუსტობის სიდიდესა და ზუნებაზე გარემო პირობების გათვალისწინებით. არსებითობის განმსაზღვრელი ფაქტორი შეიძლება იყოს ელემენტის სიდიდე და ზუნება, ან ორივე ერთად. განმარტებულია ბასს 1-ის მე-7 პუნქტში და ამ სტანდარტშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.

...

6. იმის შეფასება, შეიძლება თუ არა, რომ გამოტოვებამ ან უზუსტობამ გავლენა მოახდინოს ინფორმაციის მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, ანუ იყოს არსებითი, მოითხოვს ამ ინფორმაციის მომხმარებლების მახასიათებლების გათვალისწინებას. იგულისხმება, რომ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს აქვთ ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა და ინფორმაციის გულდასმით შესწავლის სურვილი”. ამგვარად, შეფასებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, თუ როგორი ზემოქმედებაა მოსალოდნელი ამ მახასიათებლების მქონე მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე. [გაუქმებულია]

...

ძალაში შესვლის თარიღი

54თ. 2018 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „არსებითის განმარტება“ – (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები) გამოიწვია ბასს 1-ის მე-7 პუნქტისა და ბასს 8-ის მე-5 პუნქტის შეცვლა, ასევე ბასს 8-ის მე-6 პუნქტის გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

სხვა ფასს სტანდარტებისა და გამოცემების შესწორებები

2010 წელს გამოცემული – „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების“ – შესწორებები

შემდეგი ცვლილებები გამოიწვია ბასს 1-სა და ბასს 8-ში მოცემული ტერმინის „არსებითის“ განმარტებაში შეტანილმა შესწორებებმა. ეს ცვლილებები საწარმომ პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს ბასს 1-სა და ბასს 8-ში მოცემული ტერმინის „არსებითის“ განმარტებაში შეტანილი შესწორებების გამოყენებასთან ერთად.

შეიცვალა ხმ11 პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან, ხოლო გაუქმებული ტექსტი გადახაზულია.

არსებითობა

- ხმ11. ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისმა გამოტოვებამ, ან დამახინჯებამ ან ბუნდოვნად წარდგენამ შეიძლება გავლენას მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ანგარიშების საფუძველზე, რომლებიც შეიცავს კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ ფინანსურ ინფორმაციას საფუძველზე. სხვა სიტყვებით, არსებითობა ამა თუ იმ საწარმოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ასპექტია, რომელიც გამომდინარეობს იმ ელემენტების ხასიათიდან, ან სიდიდიდან (ან ორივე აღნიშნული ფაქტორიდან), რომელსაც ეხება მოცემული ინფორმაცია, კონკრეტული საწარმოს ფინანსური ანგარიშის კონტექსტში. მაშასადამე, საბჭოს არ შეუძლია, არსებითობისთვის დაადგინოს ერთიანი რაოდენობრივი ზღვარი, ან წინასწარ განსაზღვროს, რა შეიძლება იყოს არსებითი რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში.

2018 წელს გამოცემული – „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების“ – შესწორებები

შემდეგი ცვლილებები გამოიწვია ბასს 1-სა და ბასს 8-ში მოცემული ტერმინის „არსებითის“ განმარტებაში შეტანილმა შესწორებებმა. ეს ცვლილებები საწარმომ პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს ბასს 1-სა და ბასს 8-ში მოცემული ტერმინის „არსებითის“ განმარტებაში შეტანილი შესწორებების გამოყენებასთან ერთად.

შეიცვალა 2.11 პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან, ხოლო გაუქმებული ტექსტი გადახაზულია.

არსებითობა

- 2.11 ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისმა გამოტოვებამ, ან დამახინჯებამ, ან ბუნდოვნად წარდგენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები (იხ. პუნქტი 1.5) იღებენ იმ ანგარიშგების საფუძველზე, რომლებიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშგალდებული საწარმოს შესახებ. სხვა სიტყვებით, არსებითობა ამა თუ იმ საწარმოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ასპექტია, რომელიც გამომდინარეობს იმ ელემენტების ხასიათიდან, ან სიდიდიდან (ან ორივე აღნიშნული ფაქტორიდან), რომელსაც ეხება მოცემული ინფორმაცია, კონკრეტული საწარმოს ფინანსური ანგარიშის კონტექსტში. მაშასადამე, საბჭოს არ შეუძლია, არსებითობისთვის დაადგინოს ერთიანი რაოდენობრივი ზღვარი, ან წინასწარ განსაზღვროს, რა შეიძლება იყოს არსებითი რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში.

ბასს 10-ის – „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ – შესწორებები

შეიცვალა 21-ე პუნქტი და დაემატა 23გ პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან, ხოლო გაუქმებული ტექსტი გადახაზულია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები

21. თუ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები არსებითია, გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მათ შესახებ ინფორმაციის არგამჟავნებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გკონომიკურ—გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ. შესაბამისად, საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების თითოეული მნიშვნელოვანი კატეგორიისათვის უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მოვლენის ხასიათი; და
- ბ) მისი ფინანსური ეფექტის შეფასება, ან განცხადება იმის თაობაზე, რომ ამგვარი შეფასების გაკეთება შეუძლებელია.

...

ძალაში შესვლის თარიღი

23გ. 2018 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „ტერმინის არსებითის განმარტება“ – (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები) გამოიწვია 21-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. ეს ცვლილებები საწარმომ იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 1-ის მე-7 პუნქტსა და ბასს 8-ის მე-5 და მე-6 პუნქტებში მოცემული ტერმინის „არსებითის“ განმარტებაში შეტანილ შესწორებებს.

ბასს 34-ის – „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ – შესწორებები

შეიცვალა 24-ე პუნქტი და დაემატა 58-ე პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან, ხოლო გაუქმებული ტექსტი გადახაზულია.

არსებითობა

- ...
24. არსებითი ინფორმაცია განმარტებულია ბასს 1 -ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ბასს 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ ადგენს, რომ ინფორმაცია ითვლება არსებითად, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე“. ბასს 1 და სტანდარტი მოითხოვს არსებითი ინფორმაციის ცალკე გამოყოფას, მაგალითად, შეწყვეტილი ოპერაციების, ხოლო ბასს 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – მოითხოვს სააღრიცხვო შეფასებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებებისა და შეცდომების ახსნას შენიშვნებში. ~~ეს არ არის~~ არც ერთი ზემოაღნიშნული სტანდარტი არ შეიცავს მითითებებს არსებითობის რაოდენობრიობის დადგენის შესახებ.
- ...

ძალაში შესვლის თარიღი

- ...
58. 2018 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „ტერმინის არსებითის განმარტება“ – (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები) გამოიწვია 24-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. ეს ცვლილებები საწარმომ იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 1-ის მე-7 პუნქტსა და ბასს 8-ის მე-5 და მე-6 პუნქტებში მოცემული ტერმინის „არსებითის“ განმარტებაში შეტანილ შესწორებებს.

ბასს 37-ის – „ანარიცხები,პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – შესწორებები

შეიცვალა 75-ე პუნქტი და დაემატა 104-ე პუნქტი. ახალი ტექსტი ხაზგასმულია ქვემოდან, ხოლო გაუქმებული ტექსტი გადახაზულია.

რესტრუქტურიაზაცია

...

75. საწარმოს ხელმძღვანელობის ან დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება რესტრუქტურიაზაციის შესახებ არ წარმოქმნის კონსტრუქციულ ვალდებულებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებამდე:

- ა) არ შეუდგა რესტრუქტურიაზაციის გეგმის განხორციელებას; ან
- ბ) არ მიაწვდის რესტრუქტურიაზაციის გეგმას ისეთი კონკრეტული გზით იმ პირებს, რომლებზეც გავლენას ახდენს რესტრუქტურიაზაცია, რომ მათ წარმოეშვათ სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ საწარმო მომავალში განახორციელებს რესტრუქტურიაზაციას.

ზოგიერთ შემთხვევაში საწარმო რესტრუქტურიაზაციის გეგმის განხორციელებას იწყებს ან გეგმას აცნობს იმ მხარეებს, რომლებზეც იგი გავლენას ახდენს მხოლოდ ბალანსის საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ. ბასს 10-ის - „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ - შესაბამისად, საჭიროა შესაბამისი ინფორმაციის ასახვა განმარტებით შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ რესტრუქტურიაზაცია ~~ჩაატარდა~~ არსებითია და, გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ რომ მისმა არგამჟღავნებამ გაუმჟღავნებლობა შეიძლება გავლენას მოახდინოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ ფინანსურ ინფორმაციას.

...

ძალაში შესვლის თარიღი

...

104. 2018 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „ტერმინის არსებითის განმარტება“ – (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის შესწორებები) გამოიწვია 75-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადადელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. საწარმომ ეს ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 1-ის მე-7 პუნქტსა და ბასს 8-ის მე-5 და მე-6 პუნქტებში მოცემულ ტერმინის არსებითის განმარტებაში შეტანილ ცვლილებებს.